შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

N 43

"30" 05 " 2017 წ.

ბრძანება

„თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა“ და „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში“ ავიაკომპანიებისათვის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი მომსახურების ტარიფის დამტკიცების თაობაზე

1. დამტკიცდეს ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებული „თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა“ და „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში“ ავიაკომპანიებისათვის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი მომსახურების ტარიფი.
2. დაევალოს კომპანიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი მომსახურების მსურველ ავიაკომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმებისას იხელმძღვანელონ აღნიშნული ტარიფით.
3. ბრძანება გაეცნოს საავიაციო უშიშროების დარგში დირექტორის მოადგილეს, იურიდიული სამსახურის, ბუღალტერიისა და საავიაციო უშიშროების დარგში დირექტორის მოადგილეს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.
4. წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის ინგლისურ და ქართულ ენებზე შედგენილი დანართი რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
5. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2016 წლის 24 თებერვლის N 11 ბრძანება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა“ და „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში“ ავიაკომპანიებისათვის დამატებითი საავიაციო უშიშროების მომსახურების ტარიფების დამტკიცების თაობაზე.“
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი: საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი მომსახურების ტარიფი

დირექტორი ქეთევან ალექსიძე

0158 თბილისი, საქართველო, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი/ ტ.: +995 32 2 48 73 73 ფ.: +995 32 2 48 73 74 / INFO@AIRPORTS.GE WWW.AIRPORTS.GE

დანართი №1
Annex №1

საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის დამატებითი მომსახურება	ტარიფი	Additional Aviation Security Service	Rate
საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი დანაყოფის მანქანის თანხლება (საჰაერო ხომალდის გვერდით) სამანევრო ბილიკიდან ბაქნამდე და პირიქით, საავიაციო უშიშროების ორი შეიარაღებული პერსონალის თანხლებით, იმის გათვალისწინებით რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.	215 ევრო ყოველ შესრულებულ რეისზე	Escort of aircraft from and to taxiway by aviation security car with two armed aviation security staff, provided that firearm should be used only in cases envisaged by Georgian legislation	215 EUR per flight

აეროპორტის მიერ წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მოხდება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე.	The above-mentioned service shall be rendered only on the basis of contract formed between the airport and airline company.
წინამდებარე მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ავიაკომპანიის მიერ განხორციელებული ყოველი რეისის მიხედვით, მიუხედავად იმისა მოითხოვა თუ არა ავიაკომანიამ აღნიშნული მომსახურება კონკრეტულ რეისზე.	In case the contract is formed between the parties the payment of the service fee shall take place per each flight conducted by the airline whether or not the service was requested during particular flight.
გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა საქართველოში მოხდება ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს დადგენილი კურსის შესაბამისად, უცხოეთიდან კი წინამდებარე დანართით გათვალისწინებულ ვალუტაში.	Payments in Georgia shall take place in national currency according to the exchange rate set by the National Bank of Georgia for the day of payment. Payments from outside Georgia shall take place in a foreign currency determined by this Annex.
ფასები არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.	The rate does not include taxes envisaged by Georgian legislation.

დირექტორი

ქეთევან ალექსიძე